



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს
მთლიანი შიდა პროდუქტი
2017
I კვარტალი

19.06.2017
www.geostat.ge

19.06.2017

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი

2017 წლის I კვარტალი

2017 წლის I კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში 8 318,0 მლნ. ლარი შეადგინა. წინა წლის შესაბამისი კვარტალის მიმართ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5,1 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო დეფლატორი გაიზარდა 5,6 პროცენტით.


ცხრილი №1

	I კვ. 2016*	I კვ. 2017*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	7 490,9	8 318,0
მშპ ერთ სულზე (ლარი)**	2 013,5	2 237,1
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	3 076,2	3 195,7
მშპ ერთ სულზე (აშშ. დოლარი)**	826,9	859,5
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	3,3	5,1
მშპ-ის დეფლატორი (%)	5,5	5,6

* წინასწარი მონაცემები;

** 2016 და 2017 წლებში ერთ სულზე გაანგარიშებულ კვარტალურ მაჩვენებლებში ასახულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები. წინა წლების მაჩვენებლებში გამოყენებულია აღწერამდელი დემოგრაფიული მონაცემები. წინა წლების მოსახლეობის რიცხოვნობა აღწერის მონაცემების გათვალისწინებით დაზუსტდება 2017 წელს, რაც გამოიწვევს ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლების დინამიკური მწკრივების დაზუსტებას 2003-2014 წლების მიხედვით.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორი (პროცენტი)




* წინასწარი მონაცემები.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)		
NACE-ის სექცია	I 16*	I 17*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	609,5	635,1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	75,4	80,2
დამამუშავებელი მრეწველობა	612,6	742,8
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	218,7	206,4
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	131,0	139,4
მშენებლობა	499,3	674,9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1 017,6	1 082,4
სასტუმროები და რესტორნები	175,8	204,8
ტრანსპორტი	552,6	614,7
კავშირგაბმულობა	170,2	191,2
საფინანსო საქმიანობა	321,9	352,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	383,6	405,4
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	228,5	238,6
სახელმწიფო მმართველობა	563,7	548,2
განათლება	327,2	341,6
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	400,1	438,0
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	286,1	322,4
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	8,9	9,7
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-161,2	-175,0
მშპ საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი	6 421,5	7 052,7
(+) გადასახადები პროდუქციაზე	1 111,9	1 310,2
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	42,6	44,9
მშპ საბაზრო ფასებში, მლნ. ლარი	7 490,9	8 318,0

* წინასწარი მონაცემები

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2017 წლის I კვარტალში*



* წინასწარი მონაცემები

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობა (16,6 პროცენტი) და ვაჭრობა (15,3 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (11,4 პროცენტი), მშენებლობა (9,6 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (9,0 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (7,8 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6,2 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (5,7 პროცენტი).

NACE-ის სექცია	I 16*	I 17*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	-0,8	-1,5
სამთომომპოვებითი მრეწველობა	28,8	1,6
დამამუშავებელი მრეწველობა	1,4	8,0
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-2,1	1,3
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	1,5	0,1
მშენებლობა	25,6	21,6
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	2,5	0,9
სასტუმროები და რესტორნები	11,7	8,7
ტრანსპორტი	1,4	5,2
კავშირგაბმულობა	1,1	11,5
საფინანსო საქმიანობა	8,4	6,8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	9,2	6,3
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	3,4	1,3
სახელმწიფო მმართველობა	1,6	-1,3
განათლება	1,5	2,1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0,3	5,6
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-3,5	7,9
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	-6,1	3,5
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	9,8	5,9
მშპ საბაზისო ფასებში	3,7	4,8
გადასახადები პროდუქციაზე	0,2	6,8
სუბსიდიები პროდუქციაზე	0,2	2,3
მშპ საბაზრო ფასებში	3,3	5,1
მშპ დეფლატორის ზრდა	5,5	5,6

* წინასწარი მონაცემები

ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (21,6 პროცენტი), კავშირგაბმულობა (11,5 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (8,7 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (8,0 პროცენტი), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (7,9 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (6,8 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,3 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5,6 პროცენტი), ტრანსპორტი (5,2 პროცენტი).

კლება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში (-1,5 პროცენტი) და სახელმწიფო მმართველობაში (-1,3 პროცენტი).

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2017 წლის 15 ნოემბერს.

საინფორმაციო ფურცელი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება კვარტალების მიხედვით ხორციელდება ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტება წლიური მონაცემების გათვალისწინებით. წლიური მონაცემები, როგორც წესი, განსხვავდება კვარტალური მონაცემებისაგან.

გასული წლის წლიური მონაცემების მიღებასთან ერთად, ხელახლა ითვლება მიმდინარე წლის კვარტალური მონაცემებიც. მაგალითად, 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალის მონაცემები თავდაპირველად იანგარიშება 2016 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. 2017 წლის ნოემბერში, 2016 წლის წლიური მონაცემების დაზუსტებასთან და 2016 წლის კვარტალური მონაცემების ცვლილებასთან ერთად შეიცვლება 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემებიც. გარდა ამისა, 2018 წლის ნოემბერში 2017 წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდება 2017 წლის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები.

საკონტაქტო პირები: ლევან გოგობერიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: lgogoberishvili@geostat.ge; info@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge